



სახელმწიფო შესყიდვების  
სააგენტოს თავმჯდომარის  
გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა



KA080148613230019

№ 1855

10 / აპრილი / 2019 წ.

**შპს „ხომერიკი და კომპანიის“ თეთრ სიაში რეგისტრაციის ვადის გაგრძელების შესახებ**

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში 2019 წლის 11 მარტს წარმოდგენილ იქნა შპს „ხომერიკი და კომპანიის“ (ს/ნ: 206345356) 2019 წლის 11 მარტის № 03/02 მომართვა (რეგისტრაციის № 2702), რომლითაც მიმწოდებელმა მოითხოვა თეთრ სიაში რეგისტრაციის ვადის გაგრძელება. 2019 წლის 20 მარტსა და 10 აპრილს შპს „ხომერიკი და კომპანიამ“ წარმოადგინა 2019 წლის 20 მარტის №03/05 და 10 აპრილის №04/04 დაზუსტებული მომართვები (რეგისტრაციის №3075 და №3920), რომლითაც მიმწოდებელმა გამოასწორა მის მომართვაზე სააგენტოს 2019 წლის 18 მარტის №1137 წერილით დადგენილი ხარვეზი.

სააგენტომ განიხილა მიმწოდებლის მომართვა თანდართული დოკუმენტაციით და მიიჩნევს, რომ იგი აკმაყოფილებს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2016 წლის 26 თებერვლის № 2 ბრძანებით დამტკიცებული „თეთრი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-3, მე-4 და მე-7 მუხლებით განსაზღვრულ მოთხოვნებს.

დადგენილია, რომ შპს „ხომერიკი და კომპანიის“ (ს/ნ: 206345356) თეთრ სიაში რეგისტრაციის ვადა იწურება 2019 წლის 11 აპრილს. აქედან გამომდინარე, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2016 წლის 26 თებერვლის №2 ბრძანებით დამტკიცებული „თეთრი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-6 და მე-7 მუხლების შესაბამისად:

1. შპს „ხომერიკი და კომპანიას“ (ს/ნ: 206345356) 2019 წლის 12 აპრილიდან გაუგრძელდეს თეთრ სიაში რეგისტრაციის ვადა.
2. ამ განკარგულების აღსრულება დაევალოს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ინფორმაციული ტექნოლოგიების დეპარტამენტს.
3. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ოფიციალური გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, №6), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

თავმჯდომარე

ხელმოწერილია/  
შტამგვდასმულია  
ელექტრონულად

ლევან რაზმაძე